ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13.13222371**
თარიღი:**25/08/2022**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ - იუსტიციის სახლისათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ'' ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-6 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის ფორმით - უზუფრუქტით, ორგანიზაციის არსებობის ვადით, გადასცეს სსიპ - იუსტიციის სახლს, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - ქალაქ ახალციხეში, ხარისჭირაშვილის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: 62.09.51.255) მდებარე N 75 ობიექტი (რიტუალების სახლი) - სასარგებლო ფართით 108 კვ.მ. და მასზე წილობრივად დამაგრებული მისწის ნაკვეთით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60 ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი